



პოლიეთილენის პარკების
სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის
სატენდერო დოკუმენტაცია
CPV18900000

თბილისი
2015 წელი

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისთვის წარმოსადგენია:

2.1.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა – დანართი №2-ის მიხედვით.

2.1.2. ინფორმაცია დღგ-ს გადამხდელობის შესახებ.

2.1.3. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი 2.1.1. და 2.1.2. პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

2.2 შესყიდვის ობიექტი, ობიექტის მიწოდების პირობები და ვადები:

2.2.1. შესყიდვის ობიექტია: პოლიეთილენის პარკები (იხ. ნიმუში 1 და ნიმუში 2).

2.2.2. შესყიდვის ობიექტის, დახასიათება, რაოდენობა და პარამეტრები იხილეთ შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ დავალებაში.

2.2.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად, მოთხოვნიდან არაუმეტეს 20 დღის ვადაში.

2.2.4. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ.№4 სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო".

2.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

2.3.1. მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა, აღწერილობა

| # | დასახელება | პოლიეთილენის პარკის ზომა | პოლიეთილენის პარკის წონა | რაოდენობა |
|---|--|--------------------------|--------------------------|-----------|
| 1 | თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი სააგენტოს ლოგოტიპითა და დასახელებით 30X50სმ 16,3 გრამი. რომელიც დამზადებული უნდა იყოს მაღალიწნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს. | 30X50სმ | 16,3 გრამი | 10 000 |
| 2 | თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი სააგენტოს ლოგოტიპითა და დასახელებით 52X1სმ 57 გრამი. რომელიც დამზადებული უნდა იყოს მაღალიწნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს. | 52X100სმ | 57 გრამი. | 10 000 |
| 3 | თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი სააგენტოს ლოგოტიპითა და დასახელებით 72X1,4სმ 145 გრამი. რომელიც დამზადებული უნდა იყოს მაღალიწნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს. | 72X1.4სმ | 145 გრამი. | 8 000 |

| | | | | |
|---|--|---------|-------------|--------|
| 4 | თეთრი ფერის გაუმჭირვალე პოლიეთილენის პარკი სააგენტოს მაღაზიისა და eauction.ge-ს დასახელებით 23X30სმ 3,6 გრამი. რომელიც დამზადებული უნდა იყოს დაბალიწნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს. | 23X30სმ | 3,6 გრამი. | 65 000 |
| 5 | თეთრი ფერის გაუმჭირვალე პოლიეთილენის პარკი სააგენტოს მაღაზიისა და eauction.ge-ს დასახელებით 40X50სმ 24,6 გრამი. რომელიც დამზადებული უნდა იყოს დაბალიწნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს. | 40X50სმ | 24,6 გრამი. | 65 000 |

2.3.2. პოლიეთილენის პარკები გაფორმებული უნდა იყოს შემსყიდველის მიერ მითითებული შესაბამის ფერადი წარწერით და დიზაინით – ნიმუშის შესაბამისად (იხ. ნიმუში)

2.3.3. შემოთავაზებული საქონელი უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და არ უნდა ავლენდეს დეფექტებს.

2.3.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების განფასება დ.დ.გ-ს გარეშე დანართი №2-ის მიხედვით.

შენიშვნა: * პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შერჩევა-შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინებს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამის დღგ-ს ოდენობას, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. დღგ-ს გადამხდელობის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი ორგანოდან.

2.4 ანგარიშსწორების პირობები:

2.4.1. სატენდერო წინადადებაში ერთეულისა და საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.4.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

2.4.3. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.4.4. წინასწარი გადახდის მექანიზმი არ გამოიყენება.

2.5 დამატებითი მოთხოვნები:

2.51. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი (ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული) ყველა დოკუმენტი

ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ.

2.5.2. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას **ქართულ ენაზე. არაქართულენოვანი დოკუმენტაცია არ განიხილება.**

2.5.3. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ყველა ხარჯის, ასევე მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გათვალისწინებით.

2.5.4. სატენდერო წინადადების საერთო და თითოეული ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარი.

2.5.5. სხვადასხვა ვალუტაში გამოსახული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

2.5.6. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული **საბოლოო ფასი (მ.შ დღგ-ს გათვალისწინებით ასეთის არსებობის შემთხვევაში, დღგ-ს გადამხდელობის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი ორგანოდან.)** დანართი №2-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. დამატებითი ინფორმაცია

დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში

მისამართი: თბილისი, გ. გულუას ქ№4, სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო".

საკონტაქტო პირი: ანზორ ჩხარტიშვილი

ტელეფონი: 577 050 604

ხელშეკრულება № _____
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

პროექტი

(წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი)

ქ. თბილისი

2015 წლის _____

ერთის მხრივ, სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ----- სახით და

მეორეს მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი ----- სახით,

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA-----) ჩატარების შედეგად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში და ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6 „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.
- 1.7 „ტექნიკური დავალება“ – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

2. შესყიდვის ობიექტი

- 2.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: პოლიეთილენის პარკები CPVკოდი 18937000.
- 2.2. შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა და პირობები მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ლარს.
(სახელშეკრულებო თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად)
- 3.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი, რაოდენობა და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში (მიმწოდებლის სატენდერო წინადადება), რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.
- 3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადებაში მითითებულ საბოლოო ფასებს და უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა თანამდევ ხარჯს, მათ შორის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მიმწოდებლისთვის დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მიწოდების პირობები და ადგილი

- 4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხორციელდება: _____
- 4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, გ. გულუას ქ№4 სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს" ოფისი;

5. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

5.1 შემყიდველს უფლება აქვს :

5.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

5.1.2 რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, აცნობოს და მოთხოვოს მიმწოდებელს ნაკლის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

5.1.3 მოთხოვოს მიმწოდებელისგან ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2 შემყიდველი ვალდებულია:

5.2.1 განახორციელოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.2.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.3.1 მოთხოვოს შემყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულება.

5.4.2. შემყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესყიდვის ობიექტი, რომელიც არ გამოავლენს დეფექტებს.

5.4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში არსებული შეფერხების შესახებ აცნობოს შემყიდველს.

5.4.4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი გამოსწორება დაუყოვნებლივ, საჭიროების შემთხვევაში გაწიოს საჭირო მომსახურება (ახალი შესყიდვის ობიექტის მიწოდება), შემყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გარეშე.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე, შესაბამისი დოკუმენტების სრულად წარდგენიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში.

6.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მიმწოდებლისათვის დადგენილი ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7. ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1 შემყიდველი ახორციელებს კონტროლს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

7.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

7.3 ინსპექტირებას ახორციელებენ შემყიდველის თანამშრომლები (შემდგომში ინსპექტირები ჯგუფი).

7.4 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

7.4.1 გაუწიოს კონტროლი შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

7.4.2 განახორციელოს კონტროლი მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხზე, ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობაზე.

7.4.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.5 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, რომელიც დასტურდება მხარეების ან მათი წარმომადგენლების (უფლებამოსილი პირების) ხელმოწერებით.

8.2 ხელშეკრულების 5.4 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე და მოთხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება შემყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

9.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია შესყიდვის ობიექტის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გადახდისუნარიობის საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 ხელშეკრულების 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

12.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. დავების გადაჭრის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელისმოწერისთანავე და ძალაშია 2015 წლის _____ ჩათვლით.

15. დასკვნითი დებულებები

15.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

16. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტო"
ქ. თბილისი, გულუას № 4
ტელ: (995 32) 601 601
საიდენტიფიკაციო კოდი: 205081249
ს.ს. "ბაზისბანკი" ბანკის კოდი: 220101956
ა/ა GE02BS000000007434110

მიმწოდებელი:

აფიდავიტი

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

- * ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- * უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
- * ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- * ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;
- * მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - სატენდერო წინადადების ფასი;
 - სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
 - სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
 - ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
 - შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
- * სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების გამარჯვების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის- სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

სატენდერო წინადადების ფასი, რაოდენობა, მოქმედების ვადა

(შევსების თარიღი)

სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პოლიეთილენის პარკების
(პრეტენდენტის დასახელება)

მიწოდებას გთავაზობთ _____ (_____) ლარად დღგ-ს გარეშე.
(თანხა ციფრებით) (თანხა სიტყვიერად)

| N | დასახელება/აღწერილობა | ზომა | წონა | რაოდენობა | ერთეულის ფასი (დღგ-ს გარეშე) | საერთო ღირებულება (დღგ-ს გარეშე) | მიწოდების ვადა |
|---|--|----------|-------------|-----------|------------------------------|----------------------------------|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 1 | თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი სააგენტოს ლოგოტიპითა და დასახელებით 30X50სმ 16,3 გრამი. რომელიც დამზადებული უნდა იყოს მაღალიწნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს. | 30X50სმ | 16,3 გრამი | 10 000 | _____ | _____ | |
| | თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი სააგენტოს ლოგოტიპითა და დასახელებით 52X10სმ 57 გრამი. რომელიც დამზადებული უნდა იყოს მაღალიწნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს. | 52X10სმ | 57 გრამი. | 10 000 | | | |
| | თეთრი ფერის გამჭირვალე პოლიეთილენის პარკი სააგენტოს ლოგოტიპითა და დასახელებით 72X1,4სმ 145 გრამი. რომელიც დამზადებული უნდა იყოს მაღალიწნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს. | 72X1.4სმ | 145 გრამი. | 8 000 | | | 2015 წლის განმავლობაში ეტაპობრივად, მოთხოვნიდან _____ დღის განმავლობაში |
| | თეთრი ფერის გაუმჭირვალე პოლიეთილენის პარკი სააგენტოს მაღაზიისა და eauction.ge-ს დასახელებით 23X30სმ 3,6 გრამი. რომელიც დამზადებული უნდა იყოს დაბალიწნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს. | 23X30სმ | 3,6 გრამი. | 65 000 | | | |
| 2 | თეთრი ფერის გაუმჭირვალე პოლიეთილენის პარკი სააგენტოს მაღაზიისა და eauction.ge-ს დასახელებით 40X50სმ 24,6 გრამი. რომელიც დამზადებული უნდა იყოს დაბალიწნევის პირველადი პოლიეთილენისაგან (რომელიც გამოიენება კვების პროდუქტების შესაფუთად) არ უნდა შეიცავდეს ქიმიურ დანამატებს. | 40X50სმ | 24,6 გრამი. | 65 000 | _____ | | |

ვეთანხმებით ტექნიკური დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

კვისრულობთ ვალდებულებას ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში მოგაწოდოთ პოლიეთილენის პარკები სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ტექნიკური დავალების და ნიმუშების შესაბამისად.

ჩვენს მიერ მოწოდებული საქონელი იქნება მაღალი ხარისხის. ვიდრე ვალდებულებას საჭიროების შემთხვევაში გავწიოთ საჭირო მომსახურებები (ახალი შესყიდვის ობიექტის მოწოდება), შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების

გაწევის გარეშე.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ჩვენი სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

შენიშვნა: *პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შერჩევა-შეფასება განხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინებს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამის დღგ-ს ოდენობას, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

დღგ-ს გადამხდლობის შემთხვევაში პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი ორგანოდან.

პრეტენდენტის რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: _____

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: _____

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: _____

ელექტრონული მისამართი: _____

ბანკი, ბანკის კოდი: _____

ანგარიშსწორების ანგარიში: _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)